,,დამტკიცებულია''

მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 03 ივნისის

N01-01/06 გადაწყვეტილებით

დანართი N1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მრჩეველთა საბჭო აცხადებს ღია კონკურსს

1. თანამდებობის დასახელება: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორი;

2. კატეგორია: ხელმძღვანელი თანამდებობა;

3. სამუშაოს ადგილმდებარეობა: ქალაქი ბათუმი;

4. განაცხადების წარდგენის ვადა: 2019 წლის 4 ივნისიდან 2019 წლის 03 ივლისის ჩათვლით;

5. განაცხადი მიიღება: ა) ქალაქი ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა N41, სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე: ბ) ელექტრონულ მისამართზე board@ajaratv.ge

6. საქმიანობის დაწყების თარიღი: დანიშვნის მომენტიდან;

7. საქმიანობის ვადა 3 წელი;

8. კონკურსში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს: საქართველოს მოქალაქე; საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი; მას უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილების, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლის და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო - პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება;

9. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

9.1. განცხადება;

9.2. პირადობის მოწმობის, პასპორტის ან ID ბარათის ასლი;

9.3. მაგისტრის ანდა მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

9.4. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ოფიციალურად დამოწმებული ასლ(ებ)ი;

9.5. მატერიალური ფორმით განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (დანართები) შეიძლება წარმოდგენილი იქნას ასლის სახით დედანთან ერთად (შესადარებლად), ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი განცხადების დანართები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად, რომელშიც შესაძლებელი იქნება სანოტარო აქტების საიდენტიფიკავიო კოდების (ნომრების) ამოკითხვა.

10. თანამდებობრივი სარგო (შორომის ანაზღაურება): 3300 ლარი;

11. ფუნქციები: დირექტორი ხელმძღვანელობს ,,მაუწყებლობის შესახებ'' სქართველოს კანონით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებით და დირექტორსა და მრჩეველთა საბჭოს შორის გაფორმებული შრომით ხელშეკრულებით, წარმართავს საზოგადოებრივი

მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობას, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

12. კონკურსის ეტაპები: ა) განცხადების გადარჩევა; ბ) გასაუბრება;

13. გადაწყვეტილების მიღების ვადა: არა უგვიანეს 2019 წლის 13 ივლისისა.

14. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +99591980501

15. საკონტაქტო პირი: თამარ კეკელაშვილი;

შენიშვნა: 1. განაცხადის რეგისტრაციისთანავე დაინტერესებულ პირზე გაიცემა სარეგისტრაციო ფურცელი. 2. არასრულყოფილად დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე. 3. განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული დამოწმებული თარგმანი.